



ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2020

სამსახურის უფროსი : ალექო მამეშვილი



მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა და ისეთი აქტუალური პრობლემის გადაჭრა, როგორცაა უმუშევრობა, წარმოდგენილია ეკონომიკის განვითარების გარეშე, ეკონომიკის განვითარება - მრეწველობის გარეშე, მრეწველობა-სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე.

2020 წელს ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა აღნიშნული მიმართულებებით, პანდემიური მდგომარეობის მიუხედავად, არაერთი სასარგებლო პროექტი განახორციელა.

სოფლის მეურნეობის განყოფილება

საანგარიშო წელს შექმნილმა პანდემიურმა სიტუაციამ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის სოფლის მეურნეობის განყოფილებას არ მისცა საშუალება ჩაეტარებინა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა ჩაის ფესტივალი და ჩაის აუქციონი, აგრეთვე, ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები წარმატებით შესრულდა.

გეგმა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის 8 სოფელში 11 სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტურის სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობას და ამ ნაკვეთებში აგროტექნიკური და მოვლითი ღონისძიებების ჩატარებას.

- თხილის სადემონსტრაციო ნაკვეთებში (გურიანთა, სილაური, მაკვანეთი, ბოხვაური) ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღწეულია მოსავლის მაღალი ხარისხი (92-98 პროცენტი). ჩატარებულმა ფიტოპათოლოგიურმა დასკვნებმა ცხადყო, რომ მცენარეები ჯანსაღია და არ აღენიშნებათ დაზიანებები. ფართობებში მავნებელ-დაავადებები არ შეიმჩნევა. პროექტი ამ ნაკვეთებში ხორცილდება მეორე წელია.
- საუკეთესო შედეგია მიღწეული ციტრუსების სადემონსტრაციო ნაკვეთებში (ლიხაური, ნატანები), სადაც ნაყოფი ჯანსაღია, შემცირებულია არასტანდარტული და ლაქიანი ნაყოფები, მაშინ როცა გასულ წელს მათი რაოდენობა 30-35 პროცენტს შეადგენდა;
- კივის კულტურასთან მუშაობის პერიოდში გამოვლენილი იქნა ფესვის დაავადება, რაც ფერმერებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განყოფილების თანამშრომლებმა დავათვალიერეთ დაზიანებული ნარგაობები პლანტაციებში. აღებულ იქნა დაზიანებული ნერგების ფესვები და კვლევისათვის გადავეცით სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მცენარეთა დაცვის განყოფილებას, მიღებულ პასუხებს ვაცნობებთ დაინტერესებულ პირებს.
- სიმინდის სათესლედ შერჩეულ იყო ქართული სელექციური ჯიშები, ლომთაგორა და აჯამეთის თეთრი. ფონად გამოყენებულია ფერმერების მიერ სათესლედ მომზადებული ადგილობრივი სიმინდის პოპულაცია. ნაკვეთები მდებარეობს სოფ. ბოხვაურის ტერიტორიაზე და ე.წ. “ჩალიანის“ ნაკვეთზე. ნაკვეთებს პერიოდულად უტარდებოდა მონიტორინგი. გაირკვა რომ, აღნიშნული ჯიშები კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, ზრდის მაჩვენებლებით ბევრად აჭარბებენ ადგილობრივ პოპულაციას. სექტემბრის მონაცემებმა აჩვენა რომ, ლომთაგორა გამოირჩევა ღეროზე ორი ან სამი ტაროს ჩასახვით, ზომით კი, არ ჩამოუვარდება ადგილობრივს. აჯამეთის თეთრმა გამოიჩინა საადრეო სიმწიფის თვისება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული ფართობი გამოყენებული იქნეს შუალედი კულტურების (საქონლის ჭარხალი, ტურნეფსი, მოზამთრე ბოსტნეული კულტურები და სხვ.) საწარმოებლად.

- ბოსტნეული კულტურებიდან შერჩეული იყო კომბოსტოსნაირები. მათი თესვა-მოყვანა ემსახურება იმ აზრის მსხვრევას, თითქოს გურიაში ამ არატრადიციული კულტურების მოყვანა არ შეიძლებოდა. ნაკვეთი შეირჩა ნატანებში, ფერმერ დავით თოიძესთან, სადაც დაითესა ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო და კომბოსტოს ორი სახეობა. დათესვიდან სამ თვეში ბროკოლის თითოეული ნარგაობიდან მიღებულ იქნა მაღალხარისხოვანი მოსავალი, თითოეულიდან 500- 600 გრ-ის ოდენობით. აღნიშნული ბოსტნეული კულტურები იძლევიან საშუალებას მცირემიწიან ფერმერულ მეურნეობებში სეზონის განმავლობაში მიღებული იქნეს 2 ან მეტი მოსავალი.

ჩაის სანერგე მეურნეობის მოწყობა

მუნიციპალიტეტის მიერ მცირე მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ჩაის სანერგე მეურნეობის მოწყობის პროექტი. ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ჩაის წარმოება, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფო და მუნიციპალური პროექტების განხორციელებამ. მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქციის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია მარალპროდუქტიული და მაღალი ხარისხის სანედლეული ბაზის არსებობა. გურიის რეგიონში არ მოქმედებს არც-ერთი ჩაის სანერგე მეურნეობა, სადაც მეწარმეები შეძლებენ არსებული ფართობის განახლებას ან ახლის გაშენებას. ამ მიზნით სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრი “ანასეულთან“ გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდა სანერგისათვის საჭირო მასალების შექმნა-მონტაჟი (სათბური, კვალსათბური, სარწყავი სისტემის მოწყობა, კომპები, სამუშაო იარაღები), ხოლო სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლების მიერ მოხდა კალმების აღება და მოვლა-პატრონობა. დღეისათვის, ჩაის სანერგე მეურნეობის სათბურებში ვეგეტატიური წესით გასამრავლებლად ჩაწყობილია 30 000-მდე კლონი „კოლხიდა“-ს ჯიშის კალამი, რომელიც გადასარგავად მზად იქნება 2021 წლის შემოდგომაზე. ამავე დროისათვის სათბურების მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა სადედე პლანტაცია, რომელიც სათესლე მასალის მიღების საშუალებასაც მოგვცემს.

სტევიის კულტურის სადემონსტრაციო ნაკვეთში მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ მცენარე კარგად ეგუება რეგიონის კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებს. დაგეგმილია 2021 წელს სტევიით გამდიდრებული ჩაის პროდუქციის გამოშვება.

ქონების მართვის განყოფილება

სულ ქონების განყოფილებას მიმდინარე პერიოდში დაეწერა 14 55 წერილი, განცხადება და კორესპოდენცია;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 942 წერილი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 167 წერილი, გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 88 წერილი, მოქალაქეებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან და უწყებებიდან კი 158 წერილი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტს გადმოეცა 48 ერთეული უძრავი ქონება, რომელიც დარეგისტრირდა მუნიციპალურ საკუთრებად. განხორციელდა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 13 ერთეული უძრავი ქონების თავიდან რეგისტრაცია.

მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში გადაიგზავნა 76 ერთეული უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემები (მერის მიერ გამოცემული ბრძანებები და საკადასტრო ნახაზები) აქედან 42 ერთეული უძრავი ქონება დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად (გზები და ტროტუარები).

სოფლის წარმომადგენლობიდან გადმოიგზავნა 523 ერთეულზე მეტი იდენტურობის დამადასტურებელი ოქმი, რომელზედაც მომზადდა შესაბამისი წერილები და რეგისტრაციისთვის გადაიგზავნა საჯარო რეესტრში.

ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისდა 3 ობიექტი, პრივატიზებიდან შემოსავალმა შეადგინა 33693,95 ლარი.

- 1) იჯარით გაიცა 11 ობიექტი.
- 2) განხორციელდა ელექტრონული აუქციონის ფორმით ერთი სატრანსპორტო საშუალების პრივატიზება. ბიუჯეტში შევიდა 12 375 ლარი.
- 3) ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისდა ჯართი. ბიუჯეტში შევიდა 21 280 ლარი.

ტურიზმის განყოფილება

გასვლითი საინფორმაციო-სარეკლამო შეხვედრები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ტურიზმის განყოფილების ახალი ინიციატივა „გაიცანი გურია“-მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების საინფორმაციო სარეკლამო კამპანია, იმერეთიდან დაიწყო.

5 მარტს, იმერეთის ტურისტული კომპანიების, გიდების და ტურისტული ბიზნესით დაინტერესებულ პირებისთვის, ქუთაისის სასტუმრო „ბესთ ვესთერნ ქუთაისი“-ს საკონფერენციო სივრცეში, პროექტის მონაწილეებმა თავად წარადგინეს საკუთარი ტურისტული ობიექტებისა და სერვისების შეთავაზებები: „ჩაის გზა“, „ჩხავერის ისტორია“, გურული ფოლკლორის ტური, გომის მთა, ურეკი, შეკვეთილი. ასევე, ინფორმაცია ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების შესახებ. შეხვედრაში

მონაწილეობდა იმერეთის 12 ტურისტული კომპანია, 18 გიდი, 6 სასტუმრო სახლის წარმომადგენელი, საოჯახო მარნების მეპატრონეები.

პროექტი „გაიცანი გურია“ იმერეთის შემდეგ უნდა გაგრძელებული იყო ბათუმსა და თბილისში, მაგრამ პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, პროექტი ვერ გაგრძელდა.

ტელევიზიებისა და რადიოსთვის მოწყობილი საინფორმაციო-სარეკლამო ტურები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ტურიზმის განყოფილებამ ტელევიზიებისა და რადიოსთვის მოაწყო საინფორმაციო-სარეკლამო ტურები:

„იმედის“ ტელევიზიის გადაცემაში „საიმედო ტური ნიკა წულუკიძესთან ერთად“ გაშუქდა ტურისტული პროექტი „ჩაის გზა“-ნაგომრის ჩაის საწარმო „ნაგომრის ჩაის სახლი“, გომის მთა და მთაში მოსამზადებელი კერძების მასტერკლასი.

ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პრაიმ-შოუს“ გადამღებმა ჯგუფმა გურიაში იმოგზაურა. ჯგუფმა კამპანია „იმოგზაურე საქართველოში უსაფრთხოდ“ ფარგლებში, კურორტი გომისმთა, სოფელ დვაბზუს შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული სახლ-მუზეუმი და სოფელ ჯუმათის მამათა მონასტერი მოინახულა.

რადიო „თავისუფლების“ რეიტინგულმა წამყვანებმა რეპორტაჟი ჩაწერეს სოფლის ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით მუნიციპალიტეტის ტურისტულ პროექტებში ჩართულ მონაწილეებთან.

ინოვაციური პროექტი- „მოდრავი საინფორმაციო ცენტრი ბორბლებზე“

ინოვაციური პროექტის „გაეროს განვითარების პროგრამის“ მიერ მხარდაჭერილი „მოდრავი საინფორმაციო ტურისტული ცენტრი“ ეწვია „დენდროლოგიურ პარკს“, კურორტ ურეკს და ჩამოსული სტუმრებისთვის, ადგილობრივ გიდებთან ერთად, მოაწყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების პრეზენტაცია და მუნიციპალიტეტის აგრო-ტურისტულ პროექტებში ჩართული მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. პროექტში მონაწილეობდა 12 ადგილობრივი მეწარმე, ჩაისა და ჩირის მწარმოებელი კომპანიები.

საინფორმაციო-სარეკლამო ტურები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილებამ იმერეთისა და აჭარის რამდენიმე ტურისტული კომპანიისთვის, შიდა ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ასევე, ისრაელისა და ჩეხეთის საელოჩოს წარმომადგენლებისთვის მოაწყო საინფორმაციო-სარეკლამო ტურები. სტუმრებს გააცნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმატებული აგრო-ტურისტული პროექტების: „ჩაის გზა“, „ჩხავერის ისტორიას“ - აქტიური მონაწილეები, მოისმინეს „ფოლკლორის ტურის“-უნიკალური პოლიფონია, დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობა.

საინფორმაციო ტურების მოწყობამ გამოიღო რეალური შედეგი, ქუთაისიდან განხორციელდა 16 ტური, აჭარიდან - 7.

ტურისტული ლოკაციებისთვის ფოტომასალების დამზადება

ტურიზმის განყოფილების დაკვეთით მზადდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების, ტურისტული ადგილების, აგრო-ტურისტულ პროექტებში ჩართული ობიექტების მაღალი ხარისხის ფოტოები. ფოტომასალას გამოვიყენებთ საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის დროს, ტურისტულ გამოფენებზე, სარეკლამო ბანერებისა და საბეჭდი მასალისთვის.

შრომითი ბაზრის კვლევის და განვითარების განყოფილება

განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა დახმარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადებას და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელებას, აგრეთვე ახორციელებს კვლევებს, რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სამუშაო ძალაზე პროფესიული ცოდნისა და უნარჩვევებისადმი დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა და იმ პროფესიების დადგენა, რომლებზეც მიმდინარე პერიოდში მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული ან/და უახლოს პერსპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა.

ადგილობრივი მოსახლეობის საკონსულტაციო მომსახურება და მათი ინფორმირებულობის ზრდა

საანგარიშო პერიოდში 470 ფიზიკურ და იურიდიულ პირს გაეწია კონსულტაციები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამებში წარსადგენი ბიზნეს წინადადებების მომზადების მიზნით.

ტარდება ყოველდღიური კონსულტაციები, სახელმწიფო და ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამებში მონაწილეთათვის. ასევე მოსახლეობას ვებმარებით განაცხადების შევსება - წარგენაში.

1) დანერგე მომავალი ;

2) შეღავათიანი აგროკრედიტი ბიზნესისათვის;

3) ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში არსებული სხვადასხვა პროგრამებში ქალი მეწარმეების ჩართვა.

აგრეთვე კონსულტაციები მიმდინარებს ონლაინ რეჟიმში.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ მომზადდა 61 ბიზნეს წინადადება, აწარმოე საქართველოს მცირე გრანტების პროექტი, საიდანაც 21 გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე.

ოზურგეთის ტერიტორიაზე ქონების (უძრავი) შეფასების შესახებ ჩავატარეთ კვლევა. კვლევის საფუძველზე შეირჩა კერძო საკუთრებაში არსებული 30 ზე მეტი უძრავი ქონების ფართი და განისაზღვრა მათი საბაზრო ღირებულება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს კვლევა მიგრაციასთან დაკავშირებით. კერძოდ: მიგრაციის რაოდენობა, ტიპი, შიდა მიგრაცია, მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და სხვა. დასრულდა კვლევა 28 ადმინისტრაციულ ერთეულში. მიმდინარეობს მასალის დამუშავება.

ეკონომიკური სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა მეჩაიეობის სპეციალობის სატრენინგო პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული შემაჯამებელი ღონისძიება, პროფესიულ კოლეჯ „ჭორიზონტი.“ გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“ პროექტის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტი „სოფლის მეურნეობის პროფესიული განათლების მხარდაჭერა გურიის რეგიონში“. პროექტს ახორციელებდა გურიის აგრობიზნესცენტრი და პროფესიული კოლეჯი „ჭორიზონტი,“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან პარტნიორობით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა ლუიზა ვინტონმა, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) რეგიონალურმა დირექტორმა დანიელა მევილიმ, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა მეწარმეებმა.

საქართველოს მთავრობის ანტიკორიზისული გეგმის ფარგლებში, ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაციებს ვუწევთ მოქალაქეებს პროექტ - „აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამის შესახებ“

სოფელ წითელმთაში, ლიკა მეგრელაძის საოჯახო სასტუმრო „კომლში“ „სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე“ აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში, ლიკა მეგრელაძემ პრეზენტაცია წარადგინა სოფლებში, ბიო და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სამართავად, რათა სუფთა და ჯანსაღი გარემო შევუქმნათ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას. შეხვედრაზე, ასევე პროფესიული განვითარებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე ქალების პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ ისაუბრეს. შეხვედრას ოზურგეთის მერიის თანამშრომლები და სხვადასხვა სოფელში მცხოვრები ქალბატონები ესწრებოდნენ.

პროექტ „საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და ეფექტურობის ამაღლების“ ფარგლებში ჩატარდა კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, როგორცაა ინტერნეტი, რომელიც საწარმოებს სთავაზობს საერთაშორისო ვაჭრობის წამოწყება-გაფართოებას, მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან ახალი სავაჭრო ურთიერთობების

ჩამოყალიბებას და ახალი ინვესტიციების მოძიების შესაძლებლობებს. კვლევა ჩატარდა გურიის აგრობიზნესცენტრის მონაწილეობით.

ძირითადი დასკვნები

1. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა, ინოვაციების და კვლევის დაბალი დონე, ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები, კვალიფიციური კადრების არსებობა ბიზნესის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.
2. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები სურვილს გამოთქვამენ მიიღოს მათი ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი გამოცდილება სოციალური პლატფორმების ეფექტურად გამოყენების წესების შესახებ;
3. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ერთ-ერთი პრობლემის, შემცირებული გაყიდვების, გამოსწორების და საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის მთავარ მექანიზმს სოციალური პლატფორმების ეფექტური გამოყენება წარმოადგენს;

მომზადდა რეკომენდაციები:

- **მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდა** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სექტემბრის თვიდან ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის საპილოტე პროექტის ფარგლებში დაიწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. პროექტით ისარგებლებს 49 დასახლებული პუნქტის 8 516 შინამეურნეობა, 28 576 მოსახლე. მნიშვნელოვანია მოხდეს სახელმწიფო პროგრამის გაგრძელება მთელი ქვეყნის მასშტაბით (მ.შ. მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა);
- **ინტერნეტ პლატფორმების გამოყენების შესახებ ცოდნის დონის ზრდა** - მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის მოეწყობა სასწავლო პროგრამები პროფესიული სასწავლებლის რესურსების გამოყენებით.

ეკონომიკური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილება

ეკონომიკური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილება 2020 წლის მარტის თვიდან გადავიდა დისტანცირ მუშაობის რეჟიმზე. პანდემიის გამო, წლის დასაწყისში, შემუშავებული სამუშაო გეგმით განყოფილების საქმიანობის წარმართვა ვეღარ მოხერხდა. განყოფილების სპეციალისტი ეკატერინე სირაძე მათის თვიდან მიმდგრებულია სოფლის მეურნეობის სააგენტოში, სახელმწიფო პროგრამის „დიზელის ფასდაკლების ტალონის გაცემა“ შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

განყოფილება ჩართულია ფინანსთა და რეგიონულ პოლიტიკის სამინისტროს მიერ დაგეგმილ პროექტში - „ინვესტიციების სფეროში საპილოტე ინტეგრირებულ განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით, საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის მომზადება.“

ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
ალეკო მამეშვილი